საპროექტო წინადადება

პროექტის სახელწოდება	სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების პრედიქტორები (ახალგაზრდებს შორის)
პროექტის ხანგრძლივობა	12 თვე
თსჰუ-ის ასისტენტ-პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი	ანა ზუბაშვილი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას ბევრი სიკეთე მოუტანა – უმრავლესობისათვის ინტერნეტი უამრავი შესაძლებლობის შემქმნელი საოცარი ინფორმაციული ინსტრუმენტია. 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვმა 5.35 მილიარდს მიაღწია, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 66.2% შეადგენს. 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის იანვრამდე Facebook მომხმარებელთა რიცხვი 115 მილიონით გაიზარდა, ანუ ყოველწლიურმა ზრდამ 7.5%-ს მიაღწია, რაც ნიშნავს ერთ წამში 10 ახალ მომხმარებელს (Overview of Global Internet Use). მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ართ თუ ისე იშვიათად ტექნოლოგიების გადაჭარბებულ, არაკონტროლირებად მოხმარებას მოჰყვება არაერთი ნეგატიური შედეგი – დისტრესი, ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჯანმრთელობის პრობლემები, სოციალური, პროფესიული თუ აკადემიური დარღვევები და ა.შ. უფრო მეტიც, ზოგიერთ პირს შეიძლება ქცევითი ადიქციის მსგავსი სიმპტომებიც განუვითარდეს, ანუ სიმპტომები, რომელიც ტრადიციულად უკავშირდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას/აზარტულ თამაშებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე გახდა მუდმივი კავშირის უზრუნველმყოფი სმარტფონების, პლანშეტების ფართო გავრცელების შედეგად, რის კვალობაზეც მსოფლიოში სწრაფად იზრდება პრობლემურ მომხმარებელთა რიცხვი. სულ უფრო მეტი პირი მიმართავს მკურნალობას პრობლემური ციფრული ქცევის სამართავად. ერთ-ერთი მეტა-ანალიზის თანახმად, რომელმაც მოიცვა 64 ქვეყანაში მცხოვრები ორ მილიონზე მეტი პირი, სოციალურ ქსელებზე დამოკიდებულება მსოფლიოს მოსახლეობის 17.42%-ს აწუხებს (Meng, და სხვ., 2022).

შესაბამისად, ინოვაციებმა არა მარტო რადიკალურად შეცვალა ცხოვრების წესი, არამედ შექმნა ნიადაგი სხვადასხვა ქცევითი ადიქციის განსავითარებლად, რომლებიც დღეს გაერთიანებულია „ქოლგისებრი“ ტერმინით – „ტექნოლოგიური ადიქცია“. ციფრული ტექნოლოგიების გადაჭარბებული მოხმარება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემად ჯერ კიდევ 2014 წელს აღიარა (World Health Organisation, 2014). შეილება ითქვას, რომ ფსიქოლოგია ახალი სოციალური რეალობის წინაშე აღმოჩნდა და მის შესწავლას გვერდს ვერ აუვლის. შესაბამისად, ამ ჯერ კიდევ შედარებით ახალი ფენომენის საფუძვლად მდებარე პროცესებისა და განვითარების რისკის განმაპირობებელი პრედიქტორებისა და დამცავი ფაქტორების შესწავლის აქტუალურობა და სამეცნიერო ღირებულება განპირობებულია, ერთი მხრივ, პრობლემის სიმწვავით (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის) და, მეორე მხრივ, სამამულო ლიტერატურაში ამ თემისადმი მიძღვნილი თეორიული თუ ემპირიული კვლევების, აგრეთვე საკვლევი ინსტრუმენტების სიმცირით, მით უფრო, რომ ლიტერატურაში ხაზგასმით აღინიშნება, რომ ამ მხრივ ვლინდება არსებითი კულტურული განსხვავება (Kuss & Griffiths, 2011; Petry & O'Brien, 2013).

კვლევის მიზანი: სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების სტრუქტურული მოდელის შემუშავება და ემპირიული შემოწმება, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდებს შორის სოციალური ქსელების პრობლემური მოხმარების განვითარებაში პიროვნული ნიშნების, სოციალური ქსელების მოხმარების მოტივებისა და დისფუნქციური კოგნიციების წვლილის შესაფასებლად.

მოსალოდნელი შედეგები. კვლევის ძირითადი შედეგები მნიშვნელოვანი იქნება როგორც კლიენტთან მუშაობის, ისე პრევენციის მიზნებისათვის. „ტრადიციული“ ადიქციისგან (ფსიქოაქტიურ ნიათიერებებზე/აზარტურ თამაშებზე დამოკიდებულება) განსხვავებით, როცა თერაპიის მიზანია მოხმარების შეწყვეტა, ციფრული ტექნოლოგიების პრობლემური მოხმარების შემთხვევაში მიზანია მოხმარების არა შეწყვეტა, არამედ კონტროლი. არადა ქცევითი ადიქციის მსგავსი სიმპტომების მქონე პირთა მიმართ გამოიყენება, ძირითად, იგივე სტანდარტიზებული მიდგომები, რაც „ტრადიციული“ ადიქციის სამკურნალოდ, რაც ქცევითი ადიქციისა და „ტრადიციული“ ადიქციის ეტიოლოგიაში მონაწილე სოციალური, ფსიქოლოგიური და ნეირობიოლოგიური ფაქტორების მსგავსებით. მაგრამ ასეთი გამარტივებული, მხოლოდ კრიტერიუმებზე დაფუძნებული, მიდგომის შედეგად უგულებელყოფილია ის საკვანძო ფსიქოლოგიური პროცესები (მოტივაციური, აფექტური, კოგნიტური, ინტერპერსონალური, სოციალური), რომლებიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ქცევაში დისფუნქციურ ჩართულობას (Billieux, Schimmenti, Khazaal, Maurage, & Heeren, 2015). შესაბამისად, სოციალური ქსელების დისფუნქციური მოხმარების განვითარებაში ჩართული ფსიქოლოგიური პროცესების შესწავლისა და იმ ინდივიდუალური თუ კონტექსტური ფაქტორების დადგენის გზით, რომლებმაც შეიძლება გააძლიეროს ან შეამსუბუქოს პრობლემური მოხმარების განვითარების რისკი, შესაძლებელია როგორც ფსიქოთერაპიული მუშაობის სამიზნეთა გამოვლენა და მიზნობრივი ფსიქოკორექციული ჩარევის სტრატეგიების შემუშავება, ისე პრევენციული მუშაობის მიმართულებათა დასახვა.

კვლევის დიზაინი. ჩატარდება ემპირიული რაოდენობრივი კროს-სექციური კვლევა, რომელშიც ჩართული იქნებიან ფსიქოლოგიის მიმართულების III და IV კურსის სტუდენტები. მათთვის ამ პროექტში მონაწილეობა იქნება “კვლევის მეთოდებისა” და “მონცემების დამუშავების” თეორიული კურსების გავლის შედეგად ათვისეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული რეალიზაციისა და, შესაბამისად, განმტკიცება-გაღრმავების საშუალება.